

ჰიპერტენზიული დაავადების მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე
საქართველოში

ლიანა წარიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

„ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (02, 2021)“.

ლიანა წარიაშვილი

03.07.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია შეფასდეს რამდენად ეფექტურია ჰიპერტენზიული დაავადების მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე საქართველოში, ასევე რამდენად ეფექტურია პირველადი ჯანდაცვის დონეზე ჰიპერტენზიის მართვა ოჯახის ექიმის და საექთნო სამსახურების მიერ. საქართველოში ჰიპერტენზიული დაავადება პირველადი ჯანდაცვის დონეზე არაეფექტურად იმართება, როგორც ოჯახის ექიმების ასევე საექთნო სამსახურების ჩართულობით. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ასზე მეტმა მოქალაქემ, ხოლო თვისებრივ კვლევაში თხუთმეტზე მეტმა რესპოდენტმა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ჰიპერტენზიის მართვა ეფექტურია ოჯახის ექიმის მიერ, ვინაიდან გამოკითხულთაგან მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილია ოჯახის ექიმის მომსახურებით და ჩივილების ან/და სიმპტომების შემთხვევაში მათი უმეტესი ნაწილი მიმართავს ოჯახის ექიმს. ჰიპერტენზიის მართვის პროცესში არ ხდება პაციენტების კონტროლი, რამაც შეიძლება მკურნალობის შეწყვეტა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში საკმაოდ ეფექტურია ექთნის ჩართულობა, ვინაიდან მას შეუძლია განახორციელოს პაციენტის კონტროლი მკურნალობის პროცესში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვის დონე, ოჯახის ექიმი, ექთანი, ჰიპერტენზიული დაავადების მართვა.

Abstract

The aim of this study is to evaluate how effective the management of hypertension is at the level of primary health care in Georgia, as well as how effective is the management of hypertension at the level of primary health care by family physicians and nursing services. In Georgia, hypertension is inefficiently managed at the level of primary health care, with the involvement of both family doctors and nursing services. Quantitative and qualitative research was conducted to test this hypothesis. More than one hundred citizens of Georgia participated in the quantitative research, and more than fifteen respondents in the qualitative research. The study found that the management of hypertension in Georgia is effective by the family doctor, as a large part of the respondents are satisfied with the services of the family doctor and in case of complaints and / or symptoms, most of them go to the family doctor. In the process of managing hypertension, patients are not controlled, which may lead to discontinuation of treatment. In this case, the involvement of the nurse is quite effective, as she can control the patient during the treatment process.

Keywords: primary health care level, family doctor, nurse, hypertensive disease management.